



2-3 ოქტომბერი 2020

ანგარიში N1

გელათის ღვთისმშობლის
შობის სახელობის ტაძარი

გადახურვის, ფასადებისა და
კედლის მხატვრობის

გეგმიური მონიტორინგი

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)
გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - ძეგლთა რეაბილიტაციის
სამსახური (კედლის მხატვრობის კონსერვაციის
სპეციალისტი)

საპარტოვო კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

შეჯამება - გვ. 3

ზოგადი ინფორმაცია - გვ. 4

განმარტებები - გვ. 5

გარემოპირობების მონაცემები - გვ. 7

მთავარი სივრცის მონიტორინგის არეები

ჩრდილოეთი მკლავი - გვ. 14

სამხრეთი მკლავი - გვ. 21

დასავლეთი მკლავი - გვ. 26

ჩრდილო-დასავლეთი აფრა - გვ. 34

შეჯამება

2-3 ოქტომბრის ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი სივრცის მონიტორინგის ძირითადი მიზანი იყო:

- გუმბათის ყელზე, დასავლეთ და ჩრდილოეთ მკლავებზე პრევენციული დროებითი ზომების ეფექტურობის შემოწმება.
- მკლავებზე მყარი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესის მონიტორინგი
- ფასადებზე დაზიანების წყაროს აქტივიზაციის მონიტორინგი
- ფასადებზე დაზიანების აქტივიზაციის მონიტორინგი
- ინტერიერში დაზიანების წყაროს აქტივიზაციის მონიტორინგი
- ინტერიერში დაზიანების აქტივიზაციის მონიტორინგი

2-3 ოქტომბრის მონიტორინგის მონაცემების მიხედვით:

ექსტერიერი

- დასრულებულია გუმბათის ყელის დროებითი მყარი გადახურვის პროცესი (აკლია ჟოლობების სისტემის სრულად გამართვა)
- ჩრდილოეთი და დასავლეთი მკლავები კვლავ გადახურულია დროებითი „ტენტით“, მისი მყარი გადახურვით ჩანაცვლების პროცესი არ მიმდინარეობს.
- მკლავების კიდეებზე კრამტიდან ჩამომავალი წყლის ფასადის კედლებზე ზემოქმედება კვლავ მიმდინარეობს სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ ფერდზე. ამის მიზეზი ჟოლობების სისტემის არ არსებობა და საცრემლეების არასათანადო ფუნქციონირებაა, რომლითაც ვერ ხერხდება წყლის შორ მაძილზე, კედლის სიბრტყიდან მოცილებულ დისტანციაზე გადაყვანა.

- დასავლეთ მკლავზე, სადაც 11 აგვისტოს ჩათვლით ფიქსირდებოდა წყლის ინფილტრაცია (იზრდებოდა ტენის შემცველი ლაქის მასშტაბი) 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით პროცესი შეჩერებულია. გარემოპირობების მონაცემების თანახმად 11 აგვისტოსა და 2-3 ოქტომბერს შორის 21 ატმოსფერული ნალექის მქონე დღე დაფიქსირდა, თუმცა ტენის შემცველი ლაქა არ გაზრდილა, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს დასავლეთ მკლავზე განხორციელებულ პრევენციულ ზომებს.
- 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით ფასადზე გამოვლენილი დაზიანებების თვალთ ხილული ცვლილება არ ფიქსირდება.

ინტერიერი

- 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით მცირე ზომის ნაწილაკების ცვენა კვლავ ფიქსირდება ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მკლავებში.
- 2-3 ოქტომბრის მონაცემებით ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებსა და დასავლეთი მკლავის კამარის ცენტრში მონიტორინგის არეებზე თვალთ ხილული მკვეთრი ცვლილება არ ფიქსირდება.
- 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთ კედელსა და დასავლეთ კედელზე ტენის შემცველი ლაქის ზრდა არ ფიქსირდება, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს დასავლეთ მკლავზე განხორციელებულ პრევენციულ ზომებს.

მოკლევადიანი რეკომენდაცია

- დასავლეთ მკლავსა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ ფერდზე დროებითი „ტენტის“, ჩანაცვლება დროებითი მყარი გადახურვით.
- სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მკლავების დროებითი მყარი გადახურვით დაფარვა.
- მონიტორინგის გაგრძელება, რათა გადამოწმდეს პრევენციული ზომების ეფექტურობა, და დაზიანების ცვლილებები
- წყაროს აღკვეთის შემდგომ კედლის მხატვრობის კრიტიკულ არეებზე წერტილოვანი გადაუდებელი პირდაპირი ჩარევების განხორციელება.

ზოგადი ინფორმაცია

ინტერიერში დაფიქსირებული ჩამოცვენილი ნაწილაკების ლოკაციები

2020 წლის მარტიდან განხორციელებული დეტალური და ეტაპობრივი მონიტორინგისა და მონასტრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, 2019-2020 წლებში კედლის მხატვრობიდან ნაწილაკების (მარილის კრისტალების, ისტორიული დაფერილი შეკეთებებისა და ორიგინალი მასალის) ცვენა მთავარი ტაძრის შემდეგ სივრცეებში დაფიქსირდა:


- საკურთხეველში საფეხურებზე განთავსებულ ხატებზე;
- ჩრდილოეთი მკლავის ქვეშ;
- ჩრდილო-დასავლეთი აფრის ქვეშ;
- სამხრეთ-დასავლეთი აფრის ქვეშ;
- სამხრეთი მკლავის ქვეშ;
- დასავლეთი მკლავის კამარის ქვეშ;
- დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ქვეშ;
- წმ მარინეს სახელობის ეკვდერში;
- ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერში;

აღსანიშნავია, რომ საკურთხეველის კონქში არსებული *მოზაიკის დაზიანებისა ან/და მისი ფრაგმენტების დაკარგვა არ დადასტურებულა*, არც რეგულარული მონიტორინგის პროცესში და არც მონასტრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას.

2020 წლის 2-3 ოქტომბერის მდგომარეობით მცირე ნაწილაკთა აქტიური ცვენა ფიქსირდება:

1. დასავლეთი მკლავის კამარისა და სამხრეთი კედლიდან
2. ჩრდილო-დასავლეთი აფრის ორნამენტული მოჩარჩოებიდან
3. ჩრდილოეთი და სამხრეთი კამარის ცენტრიდან
4. წმ მარინეს ეკვდერიდან

შენიშვნა: ნაწილაკების ცვენის პროცესი უმეტესწილად დაკავშირებულია დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმთან (გარემოპირობებთან) და არა წყლის ინფილტრაციის მიმდინარე პროცესთან. 11 აგვისტოს მონაცემებით წყლის ინფილტრაციის მიმდინარე პროცესი მხოლოდ დასავლეთ მკლავზე დაფიქსირდა, თუმცა 3 ოქტომბრის მონაცემებით აღნიშნული აქტივობა არ ფიქსირდება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სახურავის დროებით „ტენტი“ დაფარვასთან/ წყლის ჩადინების წყაროს შეფერხებასთან.



ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გეგმა; წითელი ჩარჩოებით აღნიშნულია ჩამოცვენილი ნაწილაკებისა და მარილის კრისტალების ლოკაციები. ლურჯი ჩარჩოთი მოცემულია 3 ოქტომბრისთვის კვლავ აქტიური ლოკაციები.

განმარტებები

ტერმინოლოგიისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიის განმარტებები, რომელიც სრულად ეფუძნება საერთაშორისო მიდგომებსა და ზოგად კრიტერიუმებს:

- **დაზიანების გამომწვევი მიზეზი/წყარო:** დაზიანების გამომწვევი მიზეზი არის ის ფაქტორი, რომელიც ძველის პირდაპირ დაზიანებას იწვევს
- **დაზიანების პროცესის აქტივიზაციის მექანიზმი:** აქტივიზაციის მექანიზმი არის ის ფაქტორი, რომელიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს ძველზე და დროთა განმავლობაში ძველის მდგომარეობის გაუარესებას აჩქარებს, მაგალითისთვის, კედელზე არსებული მარილი, რომელიც წყლის ინფილტრაციის შედეგად წარმოიშვა/ტრანსპორტირდა და აზიანებს მხატვრობას, არის დაზიანების მიზეზი, ხოლო გარემოში არსებული ტემპერატურისა და ტენიანობის მუდმივი ცვალებადობა, რომელიც იწვევს მარილის კრისტალის დაშლას და შემდგომ კვლავ გამყარებას, არის დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმი, რადგან მარილის მოცულობაში ცვალებადობა იწვევს ორიგინალი ტექნოლოგიის დაზიანება/დეგრადაციას.
- **როგორ ვაფასებთ მიმდინარეა თუ არა დაზიანების პროცესი?** მონიტორინგის პროცესში ხდება მონიტორინგის არეების ვიზუალური დათვალიერება, პირდაპირი და გვერდითი განათების დახმარებით, მდგომარეობის აღწერა წერილობითი ფორმით და ფოტო ფიქსაცია. მასალის დამუშავებისა და შედარების პროცესში ხდება ცვლილებაზე დაკვირვება და გამოვლენა.
- **როგორ ვადგენთ დაზიანების მიმდინარე პროცესი დაკავშირებულია დაზიანების „წყარო“-ს არსებობასთან თუ „აქტივიზაციი“-ს მექანიზმთან?** აღნიშნული საკითხი დგინდება ფიზიკური ისტორიისა და არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, ამის გარდა, აქამდე წარმოთქმული ჰიპოთეზების შემოწმება/დამტკიცება/უარსაყოფად დამონტაჟდება გარემოპირობების მონიტორინგის სენსორები, რათა მოხდეს გარემოს ზემოქმედების განსაზღვრა და დამაზიანებელი მექანიზმის დადგენა.

განმარტებები

გელათის კედლის მხატვრობის ჰეტეროგენული ბუნებისა და საუკუნეების განმავლობაში გაჩენილი დაზიანებების გამო, აუცილებელია არსებული მდგომარეობის ისტორიულ (წარსულ და უახლეს) ჭრილში გაანალიზება, რაზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა 2020 წლის მარტიდან დღემდე. კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობის, დაზიანების გამომწვევი მიზეზებისა და აქტივიზაციის მექანიზმის კვლევისთვის მიმდინარე მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი, სწორედ ისტორიული და ახალი/მიმდინარე დაზიანებების გამიჯვნაა.

გელათის მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაცულია მრავალშრიანი, XII-XVII საუკუნეების კედლის მხატვრობა, რომელმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, არაერთი ისტორიული, მათ შორის სხვადასხვა პერიოდში წყლის ჩასვლის შედეგად წარმოქმნილი დაზიანებებით, მოაღწია. კედლის მხატვრობაზე ბოლო ფართომასშტაბიანი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები XX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა, რა დროსაც სხვა ჩარევებთან ერთად დაზიანებული ნაღესობის გამაგრების მიზნით გაკეთდა ქიმები და შევსებები, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ტონირებულია.

აქამდე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზიანებათა შემდეგი ტიპის კატეგორიზაცია არის შესაძლებელი:

- *ისტორიული დაზიანებები, რომლებზეც ახალ გადახურვასთან არსებულმა პრობლემებმა* თვალის ხილული გავლენა ვერ მოახდინა (ჯერ-ჯერობით).
- *ისტორიული დაზიანებები, რომელთა გაუარესებაზეც ახალ გადახურვასთან დაკავშირებულმა წყლის ჩადინების პროცესმა იქონია გავლენა* და ამჟამად არ არიან აქტიურნი (დაზიანების წყარო ამჟამად აღარ აქვს).
- *ისტორიული დაზიანებები, რომელთა გაუარესებაზეც ახალ გადახურვასთან დაკავშირებულმა წყლის ჩადინების პროცესმა იქონია გავლენა* და ამჟამად არიან აქტიურნი (დაზიანების წყარო კვლავ არსებობს).
- *ისტორიული დაზიანებები, რომლებიც კლიმატური პირობების საფუძველზე* (დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმი) ამჟამად არიან აქტიურნი.

- *„ახალი“ პასიური დაზიანებები, რომლებიც გადახურვასთან არსებული პრობლემების გამო/წყლის ჩადინებით მოხდა, თუმცა, ამჟამად არ არიან აქტიურნი* (დაზიანების წყარო ამჟამად აღარ აქვს).
- *„ახალი“ აქტიური დაზიანებები, რომლებიც გადახურვასთან არსებული პრობლემების გამო/წყლის ჩადინებით მოხდა, თუმცა ამჟამად კლიმატური პირობების საფუძველზე* (დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმი) არიან აქტიურნი.
- *„ახალი“ აქტიური დაზიანებები, რომლებიც გადახურვასთან არსებული პრობლემების გამო/წყლის ჩადინებით მოხდა, ამჟამად არიან აქტიურნი* (დაზიანების წყარო კვლავ არსებობს).

შენიშვნა:

ხშირ შემთხვევაში დაზიანების წყაროსა და აქტივიზაციის მექანიზმის კომბინირებული დაზიანებები გვხვდება.

გელათის შემთხვევაში:

- *დაზიანების წყაროდ* შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, სახურავზე არსებული დაზიანებიდან *წყლის ჩადინება*
- *დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმად* შეიძლება ჩაითვალოს ინტერიერში არსებული *ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობა.*

გარემოპირობების მონაცემები

გელათის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი დამაზიანებელი ფაქტორი/წყარო ატმოსფერული ნალექებია, დაზიანების მექანიზმის თვალსაზრისით კი ტენიანობისა და ტემპერატურის ცვალებადობა.

ღვთისმშობლის შობისა და წმ გიორგის სახელობის ტაძრებზე წვიმის წყლის ზემოქმედება, გარემოს ტენიანობისა და ტემპერატურული ცვალებადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძველის პირდაპირ დაზიანებასა და დეგრადაციის პროცესზე.

ნაგებობათა სახურავის გაუმართაობა და წყლის ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანებები გვხვდება ფასადსა და ინტერიერში.

2020 წლის 11 მარტიდან მოყოლებული სააგენტოს მიერ შეგროვებული მონიტორინგის მონაცემების ანალიზის გაძლიერების თვალსაზრისით მონიტორინგის მასალის ინტერპრეტაციისას მოხდა გარემოპირობების ყოველთვიური მონაცემების გათვალისწინება/ მათი დაკავშირება დაზიანებების ცვლილებებთან და გამომწვევ მიზეზებთან.

2020 წლის მდგომარეობით გელათის სამონასტრო კომპლექსში მეტეოსადგური არ მუშაობს, (გარემოპირობების თანამედროვე მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება წლის ბოლომდე იგეგმება) შესაბამისად, გარემოპირობების მონაცემების აღება მოხდა მეტეობლუს მიერ პროცესირებული სიმულაციური ისტორიის არქივიდან (<https://www.meteoblue.com/en>).

მეტეობლუს მონაცემები მოცავს თვეების მიხედვით გარემოს ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობისა და ატმოსფერული ნალექების დღიურ მაჩვენებლებს. 2020 წლის მარტი-სექტემბერის მონაცემების ზოგადი დახასიათება მოცემულია შემდგომ გვერდებზე.

წყარო:

https://www.meteoblue.com/ka/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/historyclimate/weatherarchive/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9a%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%a1%E1%83%90%E1%83%a5%E1%83%90%E1%83%a0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9a%E1%83%9d_614545?fcstlength=1m&year=2020&month=8

გასათვალისწინებელია, რომ მეტეობლუს ამინდის არქივი არის სიმულაცია და არ აჩვენებს გაზომილ (ზუსტ) მონაცემებს შერჩეული ტერიტორიისთვის. მონაცემები არ შეედრება მეტეოსადგურის გაზომილ მონაცემებს (იმიტომ რომ მსოფლიოს მასშტაბით 99% არ არსებობს მსგავსი გაზომვის პრაქტიკა). სიმულაციის მაღალპროგნოზირებად მონაცემებს შეუძლია შეცვალოს რეალური მონაცემები, ხოლო დაბალპროგნოზირებადი სიმულაციის მონაცემების სიზუსტე დაბალია.

სიმულაციური სიზუსტის განსასაზღვრად მეტეობლუს მონაცემები შედარდა დღეების მიხედვით ატმოსფერული ნალექიანობის მონაცემებს, რომლებიც ადგილზე (გელათში) სააგენტოს თანამშრომლების მიერ შეგროვდა. შედარებამ ანახა, რომ სიმულაციური მონაცემები ემთხვევა რეალურ ატმოსფერული ნალექიანობის მონაცემებს. (სააგენტოს თანამშრომლების მიერ დაფიქსირებული წვიმიანი დღეები ემთხვევა სიმულაციურ დღიურ მონაცემებს).

გარემოპირობების მონაცემები

განმარტებები

ფარდობითი ტენიანობა - მოცემულ ტემპერატურაზე ჰაერში არსებული წყლის ორთქლის რაოდენობის შეფარდება წყლის ორთქლის მაქსიმალურ შემცველობასთან, რომელიც ჰაერს ამ ტემპერატურაზე შეუძლია შეიკავოს. გამოისახება პროცენტებში (%)

გარემოს ტემპერატურა - ჰაერის ტემპერატურა. გამოისახება გრადუსი ცელსიუსით (°C).

ატმოსფერული ნალექი - ატმოსფეროდან დედამიწის ზედაპირზე თხევადი ან მყარი სახით მოსული წყალი. იზომება ფენის სისქით (მმ ან სმ-ში), რომელიც უდანაკარგოდ (გაჟონვა, აორთქლება) გროვდება დედამიწის ზედაპირზე დროის გარკვეულ შუალედში (საათი, დღე-ღამე, თვე, წელიწადი). ატმოსფერული ნალექები ძირითადად ღრუბლებიდან მოდის თხევადი (წვიმა, თქორი), მყარი (თოვლი, თოვლოვანი ხორხოშელა, თოვლოვანი მარცვლები, ყინულოვანი მარცვლები, ყინულოვანი წვიმა, სეტყვა) ან შერეული (თოვლ-ჰყავი) სახით.

ატმოსფერული ნალექის ინტენსივობა - ატმოსფერული ნალექის ინტენსივობა კლასიფიცირებულია ნალექის დოზით/რაოდენობით, რომელიც განისაზღვრება გარკვეული დროის მონაკვეთში.

ატმოსფერული ნალექის ინტენსივობა დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

მსუბუქი ნალექი - როდესაც ნალექის რაოდენობა ფიქსირდება საათში 2.5 მმ-ზე ნაკლები

საშუალო ნალექი - როდესაც ნალექის რაოდენობა ფიქსირდება საათში 2.5 მმ-სა და 7.6 ან 10 მმ-ს შორის

ძლიერი ნალექი - როდესაც ნალექის რაოდენობა ფიქსირდება საათში 7.6 მმ-სა ან 10 მმ-სა და 50 მმ-ს შორის


წყარო:

[https://en.wikipedia.org/wiki/Rain#:~:text=Light%20rain%20%E2%80%94%20when%20the%20precipitation,50%20mm%20\(2.0%20in\)%20per](https://en.wikipedia.org/wiki/Rain#:~:text=Light%20rain%20%E2%80%94%20when%20the%20precipitation,50%20mm%20(2.0%20in)%20per)

ანგარიშში მოცემული მონაცემების მიხედვით, მეტეობლუდან აღებული მონაცემების კატეგორიზაცია (მსუბუქი, საშუალო, ძლიერი ნალექი) მოხდა არა საათობრივი ინტერვალით, არამედ დღიური ნალექების ჯამური რაოდენობით.

მაგალითისთვის, დღეში 7.6 მმ ზე მეტი რაოდენობის ატმოსფერული ნალექი გატანილია ძლიერ ნალექის კატეგორიაში.

გარემოპირობების მონაცემები



ატმოსფერული ნალექები:

(11 მარტის მერე)

ძლიერი ნალექი (>7.6 მმ) - **14-18 მარტი (5)**


მსუბუქი ნალექი (< 7.6 მმ) - **19, 21, 29-31 მარტი (5)**

ჯამში - 10 დღე

საშუალო ტემპერატურა: 3 °C- დან 17 °C- ამდე

ფარდობითი ტენიანობა: მერყეობს 20% -დან 95%-ამდე

წვიმიდ დროს, ფარდობითი ტენიანობა 70 %-სა და 95 %-ს შორის მერყეობს, ხოლო საშუალო ტემპერატურა -2-15 °C შორის მერყეობს.



ატმოსფერული ნალექები:

ძლიერი ნალექი (>7.6 მმ) - **2, 3, 13, 22-24 აპრილი (6)**

საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **4-6, 10-12, 16, 17, 26-29, 31, აპრილი (13)**

ჯამში - 19 დღე


მთელ თვეს დაფიქსირდა ტენიანობისა და ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა.

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 5 °C- დან 22 °C- ამდე

ფარდობითი ტენიანობა: მერყეობს 35% -დან 95%-ამდე

წვიმიდ დროს, ფარდობითი ტენიანობა უმეტესად 80%-ზე მაღლა ადის.

გარემოპირობების მონაცემები




ატმოსფერული ნალექები:

ძლიერი ნალექი (>7.6 მმ) - **6, 7, 9, 24-26, 30 მაისი (7)**
საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **1-5, 8, 10, 14, 16-19, 23 მაისი (13)**

ჯამში - 20 დღე

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 3 °C- დან 17 °C- ამდე
ფარდობითი ტენიანობა: მერყეობდა 20% -დან 95%-ამდე

წვიმიდ დროს, ფარდობითი ტენიანობა 70 %-სა და 95 %-ს შორის მერყეობს, ხოლო საშუალო ტემპერატურა -2-15 °C შორის მერყეობს.



ატმოსფერული ნალექები:


საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **2-5, 12-16, 18-22, 25, 26, 30 ივნისი (17)**

ჯამში - 17 დღე

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 18 °C- დან 28 °C- ამდე
ფარდობითი ტენიანობა: მერყეობდა 35% -დან 95%-ამდე

წვიმიდ დროს, ფარდობითი ტენიანობა უმეტესად 80%-ზე მაღლა ადის.

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი




ატმოსფერული ნალექები:

ძლიერი ნალექი (>7.6 მმ) - **22, 29, 30 ივლისი (3)**
საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **1, 9-14, 16, 18, 21, 23, 25 ივლისი (12)**

ჯამში - 15 დღე

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 20 °C- დან 31 °C- ამდე
ფარდობითი ტენიანობა: 8 ივლისის მერე მერყეობდა **65%-დან თითქმის 100%-ამდე**, სწორედ 8 ივლისის მერე ფიქსირდება ნალექიანობა.



ატმოსფერული ნალექები:


ძლიერი ნალექი (>7.6 მმ) - **12, 15, 23 აგვისტო (3)**
საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **2-4, 11, 14, 16, 21, 22, 24, 28, 29 აგვისტო (11)**

ჯამში - 14 დღე

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 17°C- დან 28 °C- ამდე
ფარდობითი ტენიანობა: მერყეობდა 35% -დან 95%-ამდე

წვიმიდ დროს, ფარდობითი ტენიანობა უმეტესად 80%-ზე მაღლა ადის.

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი



დროის პერიოდი	დღეების რაოდენობა	მსუბუქი და საშუალო ნალექიანი (<7.6 მმ) დღეების რაოდენობა	ძლიერი ნალექიანი (>7.6 მმ) დღეების რაოდენობა	ატმოსფერული ნალექების მქონე დღეების ჯამური რაოდენობა
11 მარტი - 30 აპრილი	50	17	11	28
30 აპრილი - 16 ივნისი	47	23	7	30
16 ივნისი - 10 აგვისტო	55	23 (10 ტენტამდე)	3	26 (10 ტენტამდე)
10 აგვისტო - 2 ოქტომბერი	53	18	3	21

ატმოსფერული ნალექები:

საშუალო და მსუბუქი ნალექი (<7.6 მმ) - **2, 6-10, 15, 16, 19, 20 სექტემბერი (10)**

ჯამში - 10 დღე

საშუალო ტემპერატურა: მერყეობდა 17 °C- დან 29 °C- ამდე

ვარდობითი ტენიანობა: მერყეობდა 35% -დან 95%-ამდე

ვარდობითი ტენიანობა: წვიმების დროს 80 %-ზე მაღალია, ხოლო მზიან დღეებში 40%-სა და 60%-ს შორის.

მთავარი სივრცის მონიტორინგის არეები

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

ჩრდილოეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - 2019 წლის აპრილთან შედარებით მეტი გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტთან შედარებით შეინიშნება მარილის ზრდა
- 2020 წლის 16 ივნისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების მკვეთრი შემცირება
- 2020 წლის 10 აგვისტო - 16 ივნისთან შედარებით მარილის ნადებისა და შემუქების შემცირება
- 2020 წლის 3 ოქტომბერი - 10 აგვისტოსთან შედარებით მარილის ნადებისა და შემუქების შემცირება

მონიტორინგის მიხედვით მარილის კრისტალიზაციის ციკლის პროცესი აქტიურია (აღინიშნება მარილების შემცირების ტენდენცია).

- *ივლისის პირველ ნახევარში* მოხდა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთი ფერდის დროებით „ტენტი“ გადახურვა - იხ. ისარი 1.
- *სექტემბრის მეორე ნახევარში* დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ძირში მყარი დროებითი გადახურვის შიფიცრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით - იხ. ისარი 2. („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)



2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 16 ივნისი

2020 წლის 10 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი

მარილის გამოკრისტალეების პროცესი აქტიურია; შეინიშნება ნადების ზრდა.

შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მკვეთრი შემცირება.

შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მცირედი შემცირება. ნაკლებია როგორც გამომარილება ასევე ქვის შემუქება.


შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მცირედი შემცირება. ნაკლებია როგორც გამომარილება ასევე ქვის შემუქება.

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთი კედელი და ჩრდილო-დასავლეთი ტრომპი

მონიტორინგის მიხედვით მარილის კრისტალიზაციის პროცესი ამჟამად სტაბილურია.

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
 - 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტთან შედარებით ცვლილება არ შეინიშნება
 - 2020 წლის 16 ივნისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების მკვეთრი შემცირება
 - 2020 წლის 10 აგვისტო - 16 ივნისთან შედარებით მცირედი ცვლილება
 - 2020 წლის 3 ოქტომბერი - 10 აგვისტოსთან შედარებით მდგომარეობა არ შეცვლილა
- • ივლისის პირველ ნახევარში მოხდა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთი ფერდის დროებით „ტენტი“ გადახურვა - იხ. ისარი 1.
- • სექტემბრის მეორე ნახევარში დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის პირში მყარი დროებითი გადახურვის შიფიცრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით - იხ. ისარი 2. („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)



2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 16 ივნისი

2020 წლის 10 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი



ცვლილება ვერ შეინიშნა



შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მკვეთრი შემცირება.



შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მცირედი შემცირება, უმეტესწილად იგივე მდგომარეობა.




შეინიშნება იგივე მდგომარეობა.

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: ფერის დანაკარგი, გამომარილება, სახეცვლა

2020 წლის 10 აგვისტო მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაციის ნიშნები



გეგმა



მნიშვნელოვნად გაუარესებულია მდგომარეობა
აღინიშნება ფერის ფენის დანაკარი და გამომარილება


გაუარესება არ შეინიშნება

შეიმჩნევა გამომარილების მცირედი ზრდა

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის ცენტრალური ნაწილი დაზიანების ტიპი: ფერის დანაკარგი, გამომარილება, სახეცვლა

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანება **აქტიურია**.



გეგმა

18 ივნისი 2020

10 აგვისტო 2020

3 ოქტომბერი 2020

3 ოქტომბერი 2020

3 ოქტომბერი 2020

შეიმჩნევა გამომარილების **მცირედი ზრდა**

შეინიშნება მარილისა და მცირე ნაწილაკების **დანაკარგი**

ფოტოზე ნათლად ჩანს მხატვრობის დაზიანებული ზედაპირი, მარილის ნადები და ფერის ფენა, რომელთაც კავშირი დაკარგული აქვთ ზედაპირთან.

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის აღმოსავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი: ფერის დანაკარგი, გამომარილება


2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

შენიშვნა: დაზიანება ჩრდილოეთი მკლავის კედლის მხატვრობაზე 2019 წელს გამოვლინდა

2017 წელს და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა (გამომარილება), თუმცა 22 მაისის მერე მდგომარეობის ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.



აღმ. ჭრილი



მნიშვნელოვნად გაუარესებულია მდგომარეობა აღინიშნება დიდი რაოდენობის გამომარილება

მდგომარეობა სტაბილურია

მდგომარეობა სტაბილურია

მდგომარეობა სტაბილურია


მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის დასავლეთი მხარე



დაზიანების ტიპი: ფერისა და შელესილობის დანაკარგი, ფენებს შორის ადჰიზიური კავშირის მორღვევა, გამომარილება

შენიშვნა: დაზიანება ჩრდილოეთი მკლავის კედლის მხატვრობაზე 2019 წელს გამოვლინდა

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა (გამომარილება). 22 მაისის მერე მდგომარეობის მცირედი ცვლილება აღინიშნება. 2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით მკვეთრი ცვლილება არ ფიქსირდება.



დას. ჭრილი



მნიშვნელოვნად გაუარესებულია მდგომარეობა აღინიშნება დიდი რაოდენობის გამომარილება და დანაკარგი

ზედაპირზე შეინიშნება მარილის ნადებების ზრდა


თვალით ხილული მკვეთრი გაუარესება არ შეინიშნება

მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი


დასავლეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, ფერის ფენისა და შელესილობის დანაკარგი, მასალაში კოჰიზიური კავშირის მორღვევა, ფენებს შორის ადჰიზიური კავშირის მორღვევა

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა. 22 მაისის მერე მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით მდგომარეობა სტაბილურია.



დას. ჭრილი



თვალთ ხილული მკვეთრი გაუარესება არ შეინიშნება







თვალთ ხილული მკვეთრი გაუარესება არ შეინიშნება

მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

სამხრეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, შეკეთებისა და ქვის ფერი სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება. დაზიანება სტაბილურია.





მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

სამხრეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, შეკეთებისა და ქვის ფერი სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება. დაზიანება სტაბილურია.




მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: გამომარილება

2020 წლის 3 ოქტომბერი მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: 10 აგვისტოს გაფიქსირებული მარილის მყარი ფენის ფორმის ცვლილება უკავშირდებოდა მარილის ფენის დანაკარგს (ჩამოვარდნას), რაც 3 ოქტომბრის ფოტოში ნათლად ჩანს.

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა. 22 მაისის მერე მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია, თუმცა 10 აგვისტოს მონაცემებით ფიქსირდება მარილის ნადების დანაკარგი. 3 ოქტომბრის მკვეთრი ცვლილება არ დაფიქსირებულა.



გეგმა



ჭურის გეგმა 12_DSC_0303 - Cop

გამომარილება, შესაძლოა ფერის დანაკარგიც ცვლილება არ შეინიშნება მარილის ფენის დანაკარგი ცვლილება არ შეინიშნება

მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, ფერწერისა და ნალესობის ფენის ადჰიზიური კავშირის მორღვევა

2020 წლის 3 ოქტომბერი მდგომარეობით დაზიანება თვალნათელია. 10 აგვისტოს გაფიქსირებული მარილის მყარი ფენის ფორმის ცვლილება უკავშირდებოდა მარილის ფენის დანაკარგს (ჩამოვარდნას), რაც 3 ოქტომბრის ფოტოში ნათლად ჩანს (იხ. წითელი ისრები).




მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი


კამარის დასავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი: გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ქვაზე, ფერწერულ და ნაღესობის ფენაზე და შეკეთებებზე.

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალთ ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა. 22 მაისის მერე მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია, თუმცა 10 აგვისტოს მონიტორინგმა მარილის სავარაუდო ჩამოვარდნა დააფიქსირა. 3 ოქტომბერს კვლავ ფიქსირდება ქიმზე ახალი გამომარილება.



დას. ჭრილი



გამომარილება. ერთ ადგილას მარილის დანაკარგი



განსხვავება არ შეინიშნება

ქიმზე მარილის შემცირება/ჩამოვარდნა

ქიმზე კვლავ ახალი გამომარილება

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

დასავლეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტისგან განსხვავებით მარილის ნადები მკვეთრად შემცირებულია
- 2020 წლის 16 ივნისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის კრისტალები აღარ ფიქსირდება, მხოლოდ ტენის ლაქაა შენარჩუნებულია. 
- 2020 წლის 11 აგვისტო - 16 ივნისის შემდეგ სისველე შენარჩუნებულია 
- 2020 წლის 3 ოქტომბერი - 11 აგვისტოს შემდეგ მდგომარეობის ცვლილება არ შეინიშნება.
- ივლისის პირველ ნახევარში მოხდა მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავზე დროებით „ტენტი“ გადახურვა
- სექტემბრის მეორე ნახევარში დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ძირში მყარი დროებითი გადახურვის შიფიცრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)





2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 17 ივნისი

2020 წლის 10 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი



11 მარტის მსგავსად სისველე კვლავ შესამჩნევია, თუმცა 30 აპრილს ფიქსირდება ნაკლები რაოდენობის მარილის ნადები, ვიდრე წინა მონიტორინგის დროს.



მარილის კრისტალები არ ფიქსირდება. კვლავ შეინიშნება მხოლოდ სისველე.



კვლავ შეინიშნება მხოლოდ სისველე.

ვიზუალური დაკვირვებით ლაქა არ გაზრდილა.

მთავარი სივრცე, დასავლეთ მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

ჩრდილოეთის კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - მდგომარეობა სტაბილურია
 - 2020 წლის 30 აპრილი - მდგომარეობა სტაბილურია
 - 2020 წლის 16 ივნისი - ლოკალურად შეინიშნება მცირედი გამომარჩევა (იხ. წილეთი ჩარჩოები). 
 - 2020 წლის 10 აგვისტო - მდგომარეობა სტაბილურია 
 - 2020 წლის 3 ოქტომბერი - მდგომარეობა სტაბილურია
- *ივლისის პირველ ნახევარში* მოხდა მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავზე დროებით „ტენტით“ გადახურვა
 - *სექტემბრის მეორე ნახევარში* დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ძირში მყარი დროებითი გადახურვის შიფიცრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)



მდგომარეობა სტაბილურია

შეინიშნება მცირედი გამომარჩევა?

საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის მინისტრის სამსახურში



NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA

მდგომარეობა სტაბილურია

მდგომარეობა სტაბილურია

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - მონიტორინგი

სამხრეთი კედელი


- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტისგან განსხვავებით მარილის ნადები აღარ ფიქსირდება, ხოლო ტენის შემცველი ლაქა გაზრდილია
- 2020 წლის 16 ივნისი - 30 აპრილს ტენის ლაქა გაზრდილია
- 2020 წლის 11 აგვისტო - 16 ივნისსთან შედარებით ტენის ლაქა შენარჩუნებულია, ხოლო წვიმის დროს შესაძლოა ქვედა ნაწილიც სველდებოდეს.
- 2020 წლის 3 ოქტომბერი - 11 აგვისტოს შემდგომ ტენის შემცველი ლაქის ზრდა არ შეინიშნება.

- ივლისის პირველ ნახევარში მოხდა მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავზე დროებით „ტენტი“ გადახურვა
- სექტემბრის მეორე ნახევარში დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ძირში მყარი დროებითი გადახურვის შიფიცრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)



2020 წლის 11 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი




წვიმის პროცესი

2020 წლის 17 ივნისი



2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 11 მარტი



სისველე კვლავ შესამჩნევია, თუმცა 30 აპრილს შეკეთებაზე არსებული 11 მარტის მარილის ნადები აღარ ფიქსირდება, ასევე აღსანიშნავია ტენის შემცველი ლაქის ზრდა.

შეინიშნება მხოლოდ სისველე და გაზრდილია ტენის შემცველი ლაქა.

შეინიშნება მხოლოდ სისველე ტენის ლაქა წვიმის დროს შესაძლოა იზრდებოდეს მკლავის ქვედა ნაწილში (იხ. წითელი მოჩარჩოება) ეანგის ლაქა? ხარაჩოს გასამაგრებლად გამოყენებული კაუჭისა და მეტალის წნულისთვის

ტენის შემცველი ლაქის ზრდა არ შეინიშნება.

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

სამხრეთი კედელი

ინტერიერში სამხრეთ კედელზე 2020 წლის 11 მარტის მერე ტენის შემცველი ლაქის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. გარდა ლაქის გაზრდისა ფიქსირდება ახალი გამომარილებები და შავი წერტილოვანი ნადები (ბიოაქტივობა- წითელი ისარი). 3 ოქტომბრის მდგომარეობით ლაქის ზრდა არ ფიქსირდება. ვხვდებით უხვ გამომარილებას და შავი წერტილოვანი ნადების (ბიოაქტივობის) მკვეთრ კლებას.





2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 16 ივნისი

2020 წლის 11 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი



შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის ზრდა.

შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის ზრდა.

შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის ზრდა.

ტენის შემცველი ლაქა არ გაზრდილა.

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი

კამარის ცენტრალური ნაწილი


დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება

(მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ფერწერულ და ნალესობის ფენაზე, ასევე შეკეთებებზე. 2. ნალესობისა და ფერის ფენის ადჰიზიური და კოჰიზიური კავშირის დარღვევა და მათი დანაკარგი

2020 წლის 2-3 ოქტომბერი მდგომარეობით
დაზიანების აქტივიზაცია: **ვიქსირდება**

ყოველდღიურია მარილის კრისტალების ცვენის პროცესი (წყარო: მონასტერის პერსონალი)

გეგმა



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



2020 წლის 11 აგვისტო



2020 წლის 3 ოქტომბერი



მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - მონიტორინგი


კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება

(მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ფერწერულ და ნალესობის ფენაზე, ასევე შეკეთებებზე. 2. ნალესობისა და ფერის ფენის ადჰიზიური და კოჰიზიური კავშირის დარღვევა და მათი დანაკარგი

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: **ფიქსირდება**

ყოველდღიურია მარილის კრისტალების ცვენის პროცესი (წყარო: მონასტერის პერსონალი)



გეგმა



ფოტოზე ნათლად ჩანს მარილის კრისტალების განაწილება და მათ მიერ გამოწვეული ორიგინალი მასალისა და შეკეთებების დაზიანებები. ზედაპირიდან მოცილებული კრისტალური მასის ცვენის აქტიური პროცესი მიმდინარეობს.

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი კედელი

- ივლისის პირველ ნახევარში მოხდა მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავზე დროებითი „ტენტით“ გადახურვა.
- სექტემბრის მეორე ნახევარში დასრულდა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ძირში მყარი დროებითი გადახურვის შეფიცვრა და დაიფარა ლითონის ფირფიტებით - („ტენტი“ კვლავ ადგილზეა)

2020 წლის 11 მარტიდან მოყოლებული 11 აგვისტოს ჩათვლით, ინტერიერში დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ტენის შემცველი ლაქის ზრდა ფიქსირდებოდა, თუმცა 3 ოქტომბერს ინტერიერში ტენის შემცველი ლაქის ზრდა აღარ ფიქსირდება და აღინიშნება მეტი გამომარილება. გამომარილება ინტერიერში მხატვრობის გამოშრობის პროცესს უკავშირდება.

ვინაიდან, ივლისის თვეში განხორციელდა პრევენციული ზომები (დროებითი გადახურვა), შესაძლოა ინტერიერში ტენის შემცველი ლაქის ზრდის შეჩერება უკავშირდებოდეს წყლის ინფილტრაციის წყაროს შეფერხებას/შეჩერებას.

პრევენციული ზომების ეფექტურობის/ შედეგიანობის განსაზღვრისას/ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია

- 2020 წლის ივნისი-ოქტომბრის თვეებში ნალექიანობა
- ვიზუალური დაკვირვების ცდომილება

2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 19 ივნისი

2020 წლის 11 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი



შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის მკვეთრი ზრდა.

შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის მკვეთრი ზრდა.

შეინიშნება ტენის შემცველი ლაქის მკვეთრი ზრდა.

ტენის შემცველი ლაქა არ გაზრდილა.

მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, გადახურვა - მონიტორინგი

კამარის ჩრდილოეთი მხარე, მარჯვენა სკენა

დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება (მყარი კრისტალური ნაღები). გვხვდება ქვაზე, ფერწერულ და ნალესობის ფენაზე და შეკეთებებზე. 2. შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემცველობა)

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისისა და 11 აგვისტოს მდგომარეობით თვალთ ხილული განსხვავება არ შეინიშნება. 3 ოქტომბრის მდგომარეობით სავარაუდოა მცირედი ცვლილება.



ჩრდ. ჭრილი




22 მაისი 2020



18 ივნისი 2020



2020 წლის 11 აგვისტო



2020 წლის 3 ოქტომბერი

განსხვავება არ შეინიშნება


განსხვავება არ შეინიშნება

შეინიშნება მცირედი ცვლილება (?)

მთავარი სივრცე, ჩრდილო-დასავლეთი აფრა, ინტერიერი - მონიტორინგი

დაზიანების ტიპი: 1. განშრევა (ნალესობის ფენასა და საფუძვლის ფენას შორის კავშირის დაკარგვა) 2. ნალესობის დანაკარგი

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება



გეგმა

2020 წლის 3 ოქტომბერი

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



18 ივნისი 2020



აფრა 4(2)_DSC_0741_c_RGB



ნალესობის განშრევა და დანაკარგი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეინიშნება 2017 წლისა და 2020 წლის 22 მაისის მდგომარეობას შორის, თუმცა 22 მაისიდან 3 ოქტომბრამდე თვალით ხილული ცვლილება არ ფიქსირდება.



18 ივნისი 2020

მთავარი სივრცე, ჩრდილო-დასავლეთი აფრა, ინტერიერი - მონიტორინგი

18 ივნისი 2020



ჩრდილო-დასავლეთი აფრის ორნამენტულ მოჩარჩოებებზე დაფიქსირდა დაზიანებული შელესილობის ფენა, რომლის ფრაგმენტების ცვენაც აქტიურად მიმდინარეობს.



18 ივნისი 2020



ჩრდილო-დასავლეთი აფრის ორნამენტული მოჩარჩოებიდან ჩამოცვენილი შელესილობის ფრაგმენტები

მთავარი სივრცე, ჩრდილო-დასავლეთი აფრა, ინტერიერი - მონიტორინგი


18 ივნისი 2020



2020 წლის 3 ოქტომბერი



ვიზუალური დაკვირვებით 18 ივნისისა და 3 ოქტომბრის მდგომარეობას შორის თვალისათვის ხილული მკვეთრი ცვლილება არ ფიქსირდება.





2-3 ოქტომბერი
მისიის ანგარიში

ანგარიში N2

გელათის ღვთისმშობლის
შობის სახელობის ტაძარი

დასავლეთი მკლავის
მხატვრობის
მდგომარეობის
მონიტორინგი და
მარილების ნაწილობრივი
მოხსნა/შემცირება

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

ფასადის და სახურავის მდგომარეობის აღწერა - გვ. 3

კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ცვენა - ორიგინალი
ტექნოლოგიის დანაკარგი - გვ. 5

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი - გვ. 6

გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: *მხატვრობის
ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა - გვ. 12*

დასავლეთ მკლავი კვლავ გადახურულია დროებითი „ტენტით“, ინტერიერში კი ფიქსირდება მცირე ზომის ფრაგმენტებისა ცვენა, ასევე შეკეთებებსა, ნალესობისა და ფერწერულ ფენაზე გამომარილების პროცესი, რაც დაზიანების ატიურობას მიუთითებს და სტრუქტურის შრობის ციკლს.

ორიგინალი ტექნოლოგიის მდგომარეობის გაუარესების შენელების მიზნით განხორციელდა გეგმიური მარილების დათხელების პროცესი.

ასევე კამარიდან მოხდა ბიოლოგიური სინჯების აღება, რათა დადგინდეს ბიოაქტივობის სახეობა და მისგან გამოწვეული შესაძლო რისკები.

ფასადისა და გადახურვის მდგომარეობის აღწერა

ივლისის დასაწყისში (5-15 ივლისი) დასავლეთ მკლავზე მოეწყო დროებითი „ტენტის“ გადახურვა, რათა დროებით შემწყდარიყო/შეფერხებულიყო წყლის სახურავიდან ინტერიერში ჩადინების პროცესი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 13.07.2020-ის ანგარიში.

30 აპრილის შემდგომ 16-19 ივნისის მდგომარეობით ფასადზე ტენის შემცველი ლაქის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ამან გავლენა იქონია ინტერიერზეც მოახდინა. ინტერიერში ტენის შემცველი ლაქა 10-11 აგვისტოს მდგომარეობით ზრდადია.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თუ რამდენად ახერხებს დროებითი „ტენტი“, ფუნქციის შესრულებას - შეწყვეტს თუ არა ექსტერიერსა და ინტერიერში ტენის შემცველი ლაქა ზრდის პროცესს.

2-3 ოქტომბრის მდგომარეობით ინტერიერსა და ფასადებზე არსებული ტენის შემცველი ლაქების თვალთ ხილული ზრდა არ დაფიქსირდა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს დროებითი ზომების ეფექტურ მუშაობაზე. (ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია:

- 11 აგვისტოდან 3 ოქტომბრამდე ატმოსფერული ნალექიანობა (21 დღე)
- ვიზუალური და ფოტოდოკუმენტაციის ცდომილებები.)



10-11 აგვისტოს ფოტოებზე (ზევით) მოცემულია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი ფერდი. ტრომპის კედელთან შეპირაპირების ადგილი დაფარულია/ ამოვსებულია საიზოლაციო ქაფით (1), ტენტი ჩამაგრებულია ხის ფიცრებით (2) ტენტი გადასულია ორივე ფერდზე (3).



2-3 ოქტომბრის მდგომარეობით (ფოტოები მარჯვნივ). გუმბათის ყელის ძირას გამართული მყარი გადახურვა, რომელიც სრულად შეპირაპირების ადგილებს, ხოლო ნაწილობრივ დასავლეთ მკლავს ფარავს. 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით ტენტი კვლავ ადგილზე.

ფასადისა და გადახურვის მდგომარეობის აღწერა

10-11 აგვისტოს მდგომარეობა:

დასავლეთი მკლავის ორივე ფერდი დაფარულია დროებითი „ტენტით“.

2-3 ოქტომბრის მდგომარეობა:

დასავლეთი მკლავის ორივე ფერდი კვლავ დაფარულია დროებითი „ტენტით“. გუმბათის ყელზე მიმდინარეობს მყარი დროებითი გადახურვის მოწყობა.

10-11 აგვისტო 2020



10-11 აგვისტო 2020



დასავლეთი მკლავის სამხრეთ ფერდი.

დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი ფერდი.

2-3 ოქტომბერი 2020



2-3 ოქტომბერი 2020



კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ცვენა - ორიგინალი ტექნოლოგიის დანაკარგი

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა - ფრაგმენტების დანაკარგი

მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში, დასავლეთ კედელზე აღმოსავლეთ მხარეს დაფიქსირდა შელესილობის ფრაგმენტის დანაკარგი, რომელიც 2020 წლის 16 ივნისიდან აქტიურად მიმდინარეობს.

მხატვრობის მქონე
შელესილობის ფრაგმენტის
დანაკარგი



მხატვრობის მქონე
შელესილობის ფრაგმენტის
დანაკარგი



კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

ფერის ფენის დაზიანების გავრცელებული ტიპებია დანაკარი, კოჰიზიური და ადჰიზიური კავშირის დარღვევა.

ფერის ფენის აქერცვლა, გაფხვიერება და შემდგომ დანაკარგი აქტიურად მიდის.

2020 წლის 11 მარტისა და 30 აპრილის მდგომარეობის შედარებისას ფერწერული ფენის მნიშვნელოვანი **დანაკარგი აღინიშნა**.

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობით **გაუარესება არ შეინიშნება**.

2020 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობით **შეინიშნება ფერწერული ფენის დანაკარგი**

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით ფერწერული ფენის **დანაკარგი არ შეინიშნება**


2020 წლის 11 მარტი

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 19 ივნისი

2020 წლის 11 აგვისტო

2020 წლის 3 ოქტომბერი



შეინიშნება ფერწერული
ფენის **დანაკარგი**

გაუარესება არ შეინიშნება

შეინიშნება ფერწერული
ფენის **დანაკარგი**

გაუარესება არ შეინიშნება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

ფერის ფენის დაზიანების გავრცელებული ტიპებია დანაკარი, კოჭიზიური და ადჭიზიური კავშირის დარღვევა.

ფერის ფენის დანაკარგი მონიტორინგის ადგილას არ შეინიშნება

თუმცა 30 აპრილს დაფიქსირებული გამომარლება 17 ივნისს, 10 აგვისტოსსა და 3 ოქტომბრის ფოტოზე აღარ შეიმჩნევა.

გამომარლებასთან დაკავშირებული ცვლილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს:

1. მარლის კრისტალების ცვენასთან
2. კედლის სტრუქტურის დასველებასთან და მარლის იონებად დაშლასთან.

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა



2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა



2020 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობა



2020 წლის 3 ოქტომბერი მდგომარეობა



30 აპრილის ფოტოზე ფიქსირდება გამომარლება, რომელიც 19 ივნისის ფოტოზე ნაკლებ შესამჩნევია, 19 ივნისის შემდგომ მდგომარეობა შეუცვლელია.

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 50 დღიანი ინტერვალის თანახმად 30 აპრილის შემდგომ 19 ივნისს გამომარჩელების პროცესის აქტივობა ფიქსირდება.

2020 წლის 11 მარტის მდგომარეობა

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე.

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



მეტი გამომარჩელება



მეტი გამომარჩელება, შეცვლილია გამომარჩელების გავრცელების ფორმა/გადასაწილება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 19 ივნისის მარილის მოხსნის შემდგომ 11 აგვისტოს შედარებით მცირე რაოდენობის გამომარილება დაგვხვდა.

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე.



2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.



2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



მეტი გამომარილება, შეცვლილია გამომარილების გავრცელების ფორმა/გადანაწილება

19 ივნისის გამომარილების მოხსნის შემდგომ 10 აგვისტოს 19 ივნისთან შედარებით ნაკლები გამომარილება დაფიქსირდა

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 11 აგვისტოს შემდგომ 3 ოქტომბერს ზედაპირზე მარილის გამოკრისტალების **ძლიერი აქტივობა დაფიქსირდა.**

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნის შემდგომ



19 ივნისის გამომარილებების მოხსნის შემდგომ 10 აგვისტოს 19 ივნისთან შედარებით ნაკლები გამომარილება დაფიქსირდა

10 აგვისტოს მარილების მოხსნის მერე 3 ოქტომბერს მეტი გამომარილება დაფიქსირდა

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 30 აპრილის შემდგომ გამომარჩევის პროცესის აქტივობა ფიქსირდება (ბოლო მონაცემი 3 ოქტომბერი).



2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის კრისტალების ნაწილობრივ მოხსნამდე.

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის კრისტალების ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე

2020 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე

ფიქსირდება გამომარჩევა

19 ივნისის გამომარჩევის მოხსნის შემდგომ 10 აგვისტოს 19 ივნისთან შედარებით ნაკლები გამომარჩევა დაფიქსირდა

11 აგვისტოს მარილების მოხსნის შემდგომ 3 ოქტომბერს შედარებით მეტი გამომარჩევა დაფიქსირდა

გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა

მარილის კრისტალიზაციის პროცესით გამოწვეული ფერწერული ფენის დაზიანების შესანელებლად განხორციელდა გადაუდებელი პირდაპირი ჩარევა. ჩარევის მეთოდოლოგია ადგილზე ტესტირებების საფუძველზე შეირჩა (2020 წლის 30 აპრილს). მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნის მეთოდოლოგია: მექანიკურად, რბილი ფუნჯის საშუალებით ზედაპირზე არსებული ახლად ფორმირებული კრისტალების/ნაფიფქის მოხსნა. მარილის მოხსნის პროცესი მიმდინარეობდა ზედა რეგისტრიდან ქვემოთ, რათა თავიდან აცილებულიყო მოხსნილი მარილის კრისტალების მხატვრობის ზედაპირზე მოხვედრა. მოხსნილი მარილის კრისტალები გროვდებოდა დასველებულ ქაღალდზე.

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა
მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობა
მარილის ნაწილობრივ მოხსნის შემდგომ



კედლის მხატვრობის ბიოდაზიანება

დაზიანების ტიპი:

ბიოლოგიური აქტივობა


დაზიანების სახეობა:

ფორმა და ტექსტურა: მრგვალი რბილი (ბუსუსებიანი) ნაწილაკების ერთობლიობა, რომელიც ზედაპირზე რელიეფურად არის განაწილებული.

ფერი: შავი და მონაცრისფრო თეთრი (შესაძოა ფერები ერთმანეთში გარდამავალი იყოს)

განაწილება: ვხვდებით ფერწერულ და ნალესობის ფენებზე, აკუმულირებულია როგორც კედლების კუთხეებში ისე გაშლილ სიბრტყეებზეც.



ლოკაცია: დასავლეთ მკლავის კამარა სამხრეთ და დასავლეთ კედლები, ზედა რეგისტრი.



კედლის მხატვრობის ბიოდაზიანება

დაზიანების გავრელების არეები:

მთავარი ტაძარი, დასავლეთ მკლავი, სამხრეთ კედელი



კედლის მხატვრობის ბიოდაზიანება

დაზიანების გავრელების არეები:

მთავარი ტაძარი,
დასავლეთ მკლავი,
კამარა



კედლის მხატვრობის ბიოდაზიანება

ბიოლოგიური დაზიანების კვლევის მიზნით მოხდა ბიოლოგიური სინჯების აღება, რათა განისაზღვროს ბიოაქტივობის სახეობა და კედლის მხატვრობაზე გამოწვეული შესაძლო რისკები.

ბიოლოგიური სინჯების აღება მოხდა:

ტაძრის მთავარი სივრცის, დასავლეთ მკლავის სამხრეთ კამარაში არსებული შავი და თეთრი ფერის ბიოლოგიური ნადებიდან:

სინჯი N1: შავი ფერის ნადები, სინჯი აღებულია მხატვრობის წითელი ფერის ფენიდან




სინჯი N2: თეთრი ფერის ნადები, სინჯი აღებულია მხატვრობის ლურჯი ფერის ფენიდან

სინჯი N3: თეთრი ფერის ნადები, სინჯი აღებულია მხატვრობის წითელი ფერის ფენიდან

იხილეთ ფოტოები შემდეგ გვერდზე.

კომენტარი: რბილად იხსნებოდა სკალპელით და მთლიანად მოდიოდა ზედაპირიდან. მოჭიდება შავი ნადების მოჭიდება ზედაპირზე საკმაოდ სუსტი იყო.

ამჟამად. მიმდინარეობს სინჯების ლაბორატორიული კვლევა.





2-3 ოქტომბერი 2020

ანგარიში N3

გელათის ღვთისმშობლის
შობის სახელობის ტაძრის

ჩრდილოეთი ეკვდერები და
კარბიჭე

ფასადებისა და კედლის
მხატვრობის

გეგმიური მონიტორინგი

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)
გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - ძეგლთა რეაბილიტაციის
სამსახური (კედლის მხატვრობის კონსერვაციის
სპეციალისტი)

საპარტოვო კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი - გვ. 3

ჩრდილოეთის კარიბჭე - გვ. 10

ჩრდილო-დასავლეთის ეკვდერი - გვ. 12

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი

ეკვდერის ფასადზე ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები, რომლებიც ძირითადად წყლის ზემოქმედებითაა გამოწვეული, თუმცა ინტერიერში 2017 წლისა და 2020 წლის შედარებითა ანალიზმა და მდგომარეობის ადგილზე ნახვამ კედლის მხატვრობაზე ვერ გამოავლინა თვალისათვის ხილული ცვლილება. თუმცა აღსანიშნავია, რომ საკურთხეველში იატაკზე ფიქსირდება მცირე ზომის ნაწილაკები, ხოლო ინტერიერის ჩრდილოეთი კედლის ცოკოლის დონეზე მარილის ნაფიფქი. ჩრდილოეთი კედლის დაზიანებების ცვლილება 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით არ ფიქსირდება, უცვლელია საკურთხევლის მხატვრობის მაკროსკოპული მდგომარეობაც.

ჩრდილოეთის კარიბჭე

ჩრდილოეთ კარიბჭის მთელ სივრცეში თვალისათვის ხილული ახალი დაზიანების ტიპები არ გამოვლენილა. არსებული ისტორიული დაზიანებები სტაბილურია.

მონიტორინგის დეტალიზების მიზნით გადაწყდა ყველაზე სარისკო მონაკვეთის ახალ მაკრო მონიტორინგის არედ განისაზღვრა. ამისათვის შეირჩა დასავლეთ კედლის ნიშა, რათა მაქსიმალურად გადამოწმდეს ისტორიულ შეკეთებებზე არსებული ლაქის ზრდის აქტიურობის პროცესი.

ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერი

მონიტორინგის შედეგების მიხედვით ისტორიული დაზიანების თვალისათვის ხილული აქტიურობა 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით არ ფიქსირდება.

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი


ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

ლოკაცია: *ინტერიერი საკურთხეველი*

2017 წლისა და 2020 წლის შედარებითა ანალიზმა და მდგომარეობის ადგილზე ნახვამ ვერ გამოავლინა თვალთ ხილული ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ ფასადზე ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები. აღნიშნული არეები დაზიანების მაღალი რისკის ქვეშაა.

აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შეირჩა ორი მონაკვეთი, რომლიც ახალ სამონიტორინგე არედ განისაზღვრა. აღნიშნულ მონაკვეთებზე ფიქსირდება ნალესობის გაფხვიერება, ბიოაქტივობა, მცირედი ნაწილაკების ცვენა და იატაკის ქვისა და ნალესობის ფერის სახეცვლა/შემუქება.

2020 წლის 2-3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.



*არე 2:
ჩამოცვენილი
პატარა
ფრაგმენტები.
შემუქებული
იატაკი,
ბიოაქტივობა,
შეკეთებების
ფერის
სახეცვლა.*


არე 1: მწვანე პატინა -ბიოაქტივობა, შეკეთებისა და შელესილობის ფერის სახეცვლა, ნალესობის გაფხვიერება.

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

ლოკაცია: *ინტერიერი საკურთხეველი*

კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ ფასადზე ფიქსირდება დაზიანებები. ინტერიერის მდგომარეობის ადგილზე ნახვამ ვერ გამოავლინა თვალით ხილული აქტიური დაზიანება. ამის მიუხედავად, აღნიშნული არეები დაზიანების მაღალი რისკის ქვეშაა.

3 ოქტომბერი 2020



19 ივნისი 2020



11 აგვისტო 2020



3 ოქტომბერი 2020



ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

ლოკაცია: ჩრდილოეთი კედელი

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია

ჩრდილოეთის კედელზე შეირჩა ნალესობის დანაკარგი არე, რომელიც ახალ სამონიტორინგე მონაკვეთად განისაზღვრა. აღნიშნულ მონაკვეთებზე ფიქსირდება ნალესობის გაფხვიერება, განშრევა და იატაკის ქვისა და ნალესობის ფერის სახეცვლა/შემუქება.



მარჯვნივ მოცემულ ფოტოებზე ასახულია ჩრდილოეთი კედლის შელესილობის დაზიანებული ფენა. 3 ოქტომბრის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

ლოკაცია: ინტერიერი საკურთხეველი

10-11 აგვისტოს გეგმიურ მონიტორინგზე დატალურად შემოწმდა ცოკოლის დასველებული არეები ინტერიერის მხრიდან. ჩრდილოეთის კედლის ინტერიერში დაფიქსირდა შელესილობის შემუქება და ახლად გამოკრისტალეებული მარილის ფაფუკი ფენები.

2020 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით ახლადგამოკრისტალეებული მარილების თვალით ხილული მკვეთრი ზრდა არ შეინიშნება.



10-11 აგვისტო 2020

პირდაპირი განათება



ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

მონიტორინგისას დაფიქსირდა მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის მგავსი ბიო აქტოვობა.

დაზიანების ტიპი:

ბიოლოგიური აქტივობა

დაზიანების სახეობა:

ფორმა და ტექსტურა: მრგვალი რბილი (ბუსუსებიანი) ნაწილაკების ერთობლიობა, რომელიც ზედაპირზე რელიეფურად არის განაწილებული.

ფერი: შავი

განაწილება: ვხვდებით ნალესობის ფენაზე, აკუმულირებული სარკმლის კუთხეში.


ლოკაცია: ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერის, ჩრდილოეთ სარკმლის ქვედა ნაწილი.

დაზიანების კვლევის მიზნით სინჯის აღება და მისი ლაბორატორიული დამუშავება გადაწყდა.

1. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერის, ჩრდილოეთ სარკმლის ქვედა ნაწილი, შავი ფერის ბიოლოგიური ნადები

სინჯი N4: შავი ფერის ნადები, სინჯი აღებულია თეთრი ფერის ნალესობიდან

კომენტარი: აღების დროს შავი ნადები მჭიდროდ იყო ნალესობაში ჩამჯდარი, შესაბამისად, ლაცენტით მოხდა მისი მოფხეკა.



ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი, ინტერიერი - მონიტორინგი

ბიოპეტივობა - სინჯი N4

3 ოქტომბერი 2020



პირდაპირი განათება

3 ოქტომბერი 2020



პირდაპირი განათება

3 ოქტომბერი 2020




პირდაპირი განათება

3 ოქტომბერი 2020



გვერდითი განათება

3 ოქტომბერი 2020



გვერდითი განათება

3 ოქტომბერი 2020



გვერდითი განათება

ჩრდილოეთი კარიბჭე

ჩრდილოეთის კარიბჭე, ინტერიერი - მონიტორინგი

ჩრდილოეთ კარიბჭის მთელ სივრცეში თვალთ ხილული ახალი დაზიანების ტიპები არ გამოვლენილა. არსებული ისტორიული დაზიანებები სტაბილურია.

მონიტორინგის დეტალიზების მიზნით გადაწყდა ყველაზე სარისკო მონაკვეთის ახალ მაკრო მონიტორინგის არედ განისაზღვრა. ამისათვის შეირჩა დასავლეთ კედლის ნიშა, რათა მაქსიმალურად გადამოწმდეს ისტორიულ შეკეთებებზე არსებული ლაქის ზრდის აქტიურობის პროცესი.




